



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლოხვიცვი მიხეილ იურის ძე

ლოხვიცვი მიხეილ იურის ძე (ნამდვ. გვარი აჭუკ-გირეი) [22. II. 1922, დეტსკოე-სელო (ახლანდ. ქ. პუშკინი), – 7. VIII. 1989, თბილისი], ჩერქეზი მწერალი, მთარგმნელი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაქ-ტი (1952). უნივერსიტეტის მიმღები და ა. ციბულევსკისთან ერთად ჩამოაყალიბა ლიტ. გაერთიანება „სოლომენნაია ლამპა“ („Соломенная лампа“). წლების განმავლობაში მუშაობდა გამომც. „მერანში“ რუს. რედაქციის გამგედ. პირველი მოთხრობა „ძეგლი“ 1949 გამოაქვეყნა, მოთხრობათა პირველი კრებ. „შეხვედრები გზაში“ – 1955. ავტორია მოთხრობათა კრებულებისა: „მთის ქედის ადამიანები“ (1958), „რად არის ზღვა ლურჯი“ (1966), „დღისით, მთისით“ (1974) და სხვ.; რომანებისა: „უცნობი“ (1964), „გასროლა მეტებში“ (1973). აღსანიშნავია ისტ. მოთხრობა „მეხთატეხა“ (1977), რ-შიც XIX ს. კავკასიის პირველი ომის დროს ლიტ. წინაპრების, შაფსუღების, რამდენიმე ოჯახის ისტორიაა აღწერილი. „მეხთატეხის“ თავისებურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს რომანი „ღმერთების ძიება“, რ-იც მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა (ქართ. თარგმანი მ. ბეროშვილისა, 2014). ლ. რუს. ენაზე თარგმნიდა ქართ. მწერალთა ნაწარმოებებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები.

გ. ფილინა